საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

არგვეთა

არგვეთა, სოფელი ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ქვედა საქარის თემში (იმერეთის რეგიონი), იმერეთის დაბლობზე, მდ. ჩოლაბურის (ყვირილის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. ნაპირას. ზ. დ. 120 მ, ზესტაფონიდან 7 კმ. რკინიგზის სადგური. 1,3 ათ. მცხ. (2014). სოფელში არის მინერ. წყარო.

წერილობით წყაროებში დამოწმებულია XVIII ს. 70-იანი წლებიდან. სოფელში დგას შუა ფეოდ. ხანის გეგმით სწორკუთხა, ერთნავიანი ეკლესია „დედა ღვთისა“.

აღმ-ით გარედან ხუთწახნაგა, შიგნით ნახევარწრიული აფსიდი აქვს. სამხრ-იდან მოშენებულია საქალებო და კიდევ ერთი სათავსი, მათ შორის კარიბჭეა მოთავსებული. შიგნით და გარედან ნაშენია დიდი ზომის თლილი ლოდებითა და კირით. შესასვლელები აქვს აგრეთვე დას-იდან და ჩრდ-იდან. ძეგლი დაზიანებულია. 1923 – 24 მას შემოაცალეს პერანგი და სხვადასხვა დანიშნულების სამშენებლო სამუშაოებისთვის გამოიყენეს. ამ დროს დაიკარგა დას. კირის თავზე ჩასმული წარწერებიანი დიდი ქვა.

შ. საღარაძე

თ. ბერაძე